საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს
წევრობის – მეურვეობის კანდიდატების შესარჩევი საპარლამენტო
საკონკურსო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-200 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. დამტკიცდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობის – მეურვეობის 3 კანდიდატის შესარჩევი საპარლამენტო საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) გივი აბესაძე – ფოლკლორული ანსამბლის „დიდგორის“ სოლისტი;

ბ) მარიამ გვიდიანი – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალების ხმა – დემოკრატია და უსაფრთხოება“ აღმასრულებელი დირექტორი;

გ) როზეტა გუჯეჯიანი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

დ) თამარ კეკენაძე – საქართველოში ბრიტანული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი პოლიტიკის მეცნიერებებში;

ე) დავით მაღლაფერიძე – რადიო „იმედის“ პროგრამების დირექტორი;

ვ) ერმილე მესხია – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

ზ) ნინო მეუნარგია – ჟურნალისტი, საავტორო გადაცემის „ჩვენ აქ ვართ“ წამყვანი და ავტორი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა უფლებების დამცველი;

თ) სოფიო ნიკოლაიშვილი – გადაცემების – „იმედის დილისა“ და „იმედის დღის“ მთავარი პროდიუსერი, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მედიააკადემიის მენტორი;

ი) შორენა შავერდაშვილი – გამომცემლობა „სეზან ფაბლიშინგის“ დირექტორი.

2. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი

თბილისი,
2026 წლის 10 ივნისი.
№-Vმს-XIმპ